საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-421

06/06/2018

ქ. თბილისი

შპს ,,მამა-შვილი მარაბიანი“-ს ქ. ახალქალაქში ვულკანური წიდის (პემზის) საფქვავისა და საკედლე ბლოკის საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს ,,მამა-შვილი მარაბიანის“ მიერ გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ვულკანური წიდის (პემზის) საფქვავისა და საკედლე ბლოკის საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

საქმიანობის განხორციელება დაგეგმილია ქალაქ ახალქალაქში, სოფ. ვაჩიანის გზატკეცილის მიმდებარედ. საპროექტო ტერიტორია უახლოესი დასახლებული პუნქტიდან დაშორებულია 700 მეტრით. ხოლო მდინარე კირხ-ბულახიდან დაშორებულია 40 მეტრით.

საქმიანობის მასშტაბია: 300 ათასი ცალი ბლოკი წელიწადში, ხოლო ვულკანური წიდა (პემზა) 50000$მ^3$/წ (40000ტ/წ). ვულკანური წიდის (პემზის) დაფრქვისათვის და საკედლე ბლოკის დამზადებისათვის საჭირო მასალება: ქვიშა 1980 ტ/წ, ღორღი 2460 ტ/წ, ცემენტი 660 ტ/წ, ვულკანური წიდა (პემზა) 50000$მ^3$ წელი (40000ტ/წელი) ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენებული იქნება პემზის სამსხვრევი დანადგარი და ბეტონშემრევი დანადგარი, რომელიც საწვავის გამოყენებას არ საჭიროებს. პემზას საწარმო ღებულობს ავტოთვითმცლელებით და ათავსებს ნედლეულის საწყობში, საიდანაც იგი მიეწოდება ჯერ სამსხვრევ დანადგარის ბუნკერს, ხოლო შემდეგ ყბებიან და დოლურას ტიპის სამსხვრევ-დამახარისხებელ დანადგარებს. დანადგარებზე პემზა იმსხვრევა სხვადასხვა ზომის ფრაქციებად, მშრალი მეთოდით.

რაც შეეხება ბლოკის წარმოებას, ნედლეული დასაწყობდება ღია სასაწყობე სანაყაროზე, აღნიშნულ ბუნკერში მოხდება წყლის მიწოდება, შერევა და ნარევის ჩამოყრა ყალიბებში. მზა პროდუქციის გატანა ბუნებრივი შრობისთვის და დასაწყობება.

საწარმო წყალს იღებს მის მიმდებარედ არსებულ მდინარე კირხ-ბულახიდან,

საწარმოს მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე ნარჩენების წარმოქმნა სამუშაოს მასშტაბებიდან გამომდინარე არ არის მნიშვნელოვანი, ამიტომ მათი მართვა (შენახვა და განთავსების ან აღდგენის მიზნით ნებართვის მქონე ორგანიზაციაზე გადაცემა) განხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნის გათვალისწინებით, რაც შეეხება საყოფაცხოვრებო ნარჩენებს, მათი გატანა პერიოდულად მოხდება მუნიციპალური დასუფთავების სამსახურის მიერ.

აღნიშნული საწარმოს ტერიტორია არასასოფლო სამეურნეო დანიშნულებისაა, წლების განმავლობაში გამოიყენებოდა სამეწარმეო დანიშნულებით, ზემოქმედება ნიადაგზე და გრუნტის ხარისხზე მოსალოდნელი არ არის.

ტერიტორია თავისუფალია მცენარეული საფარისგან და შესაბამისად პროექტის განხორციელება არ ითვალისწინებს მცენარეულ საფარსა და ორგანიზმებზე ზემოქმედებას. ვიზუალური შეფასებით, ტერიტორიაზე არ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი.

საწარმო მოსახლეობასთან დაშორებულია დიდი მანძილით, აქედან გამომდინარე მოსახლეობაზე ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება არაა მნიშვნელოვანი. გამომდინარე იქიდან, რომ ვიზუალური დათვალიერების შედეგად დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილთან ახლოს არ ფიქსირდება სხვა საწარმოები, პროექტის განხორციელების შემთხვევაში კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ატმოსფერულ ჰაერში მოხდება მავნე ნივთიერებების გაფრქვევა, ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა ინერტული მასალების მტვერი.

საწარმო შეიძენს ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარს. რაც შეეხება ავარიულ სიტუაციებსა და კატასტროფებს, საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში ავარიები და კატასტროფები მოსალოდნელი არ არის.

საქმიანობა არ არის დაგეგმილი ჭარბტენიან ტერიტორიასთან, შავი ზღვის სანაპირო ზოლთან, ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასა და დაცულ ტერიტორიებზე. ვიზუალური შეფასებით საპროექტო ტერიტორიაზე არ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების პროცესში ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის .

<u>ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (07.12.2017 №1620-რს) საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე</u>

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ შპს „მამა-შვილი მარაბიანის“ ვულკანური წიდის (პემზის) საფქვავისა და საკედლე ბლოკის საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტი **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „მამა-შვილი მარაბიანი“ ვალდებულია საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;

3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „მამა-შვილი მარაბიანს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „მამა-შვილი მარაბიანის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკრინინგის გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ახალქალაქის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში-საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა N7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი